ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი # 10

ქ. ონი 26. 10. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მამუკა ყავლაშვილი.

სხდომას კომისიის 12 წევრიდან ესწრებოდა 7 წევრი: მამუკა ყავლაშვილი, გივი მეტრეველი, ბესიკი მაისურაძე, ნინო გობეჯიშვილი, როსტომ ლობჯანიძე, ნონა მაისურაძე, ეკა მაისურაძე.

არ ესწრებოდნენ: რეზო საბანაძე, მერაბ ბიჭაშვილი, ბიძინა ყიფიანი, ზურაბ ბენდიანიშვილი, გელა მეტრეველი.

სხდომას ესწრებოდნენ შპს ,,ჯეოექსპერტის“ და ონის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის და ხარისხის შესახებ.

/მომხს. მ. ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს: 1.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის და ხარისხის შესახებ.

/მომხსენებელი: მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის და ხარისხის შესახებ და აღნიშნა, რომ რიგ ობიექტებზე ფიქსირდება ჩამორჩენა გეგმა-გრაფიკთან მიმართებაში, რაც უარყოფითად აისახება საბოლოო ხარისხსა და შედეგებზე.

შპს ,,ჯეოექსპერტის“ წარმომადგენლებმა დაწვრილებით ისაუბრეს მუნიციპალიტეტში მიმდინარე საპროექტო დოკუმენტაციის ნაკლოვანებებზე და აღნიშნეს, რომ არსებული პროექტების უმრავლესობა არაჯეროვნადაა შესრულებული, შესაბამისად, ხშირია ცვლილებები, ზოგიერთ შემთხვევაში ხდება ძირეული ცვლილებებიც, რაც შემდგომ უარყოფით ასახვას ჰპოვებს შესრულებული სამუშაოების ხარისხზე.

გ. მეტრეველმა აღნიშნა, რომ ხშირ შემთხვევაში მომსახურების მიმწოდებელი არაკეთილსინდისიერად უდგება შესასრულებელი პროექტების შესაბამისი ობიექტების ძირეულ შესწავლას, რაც საბოლოოდ განაპირობებს მოწოდებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხს. ასევე, მერიის შესაბამისი სამსახურების მხრიდან არ ხდება წინასწარ მიწოდებული საპროექტო დოკუმენტაციის სათანადოდ შესწავლა და შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მამუკა ყავლაშვილი

კომისიის თავმჯდომარე

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

2023 წ. 13 ოქტომბერს გაიმართა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

კომისიამ სხდომაზე განიხილა საკითხი:

1.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის და ხარისხის შესახებ.

/მომხს. მ. ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ კომისიის სხდომაზე იმსჯელა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. კომისია რეკომენდაციას აძლევს საკრებულოს, წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად,

მამუკა ყავლაშვილი

კომისიის თავმჯდომარე